ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდაცვალებისას არ დაუტოვებია არც დირჰამი, არც დინარი, არც მონა კაცი, არც მონა ქალი და არც სხვა რამ, გარდა ერთი თეთრი ჯორისა, ხმალისა და მიწის ნაკვეთისა, რომელიც სადაყად გაიღო

ამრ ბინ ალ-ჰარის ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ცოლის ძმა, მორწმუნეთა დედის ჯუვაირია ბინთ ალ-ჰაარისის ძმა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოსცემს: «ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გარდაცვალებისას არ დაუტოვებია არც დირჰამი, არც დინარი, არც მონა კაცი, არც მონა ქალი და არც სხვა რამ, გარდა ერთი თეთრი ჯორისა, ხმალისა და მიწის ნაკვეთისა, რომელიც სადაყად გაიღო».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა გარდაიცვალა მას ვერცხლის დირჰამი, ოქროს დინარი, მონა კაცი, მონა ქალი, ცხვარი, პირუტყვი და რაიმე ქონება არ დაუტოვებია, გარდა ერთი თეთრი ჯორისა, რომელსაც სამგზავროდ იყენებდა, ხმალი, რომელსაც ატარებდა და მიწა, რომელიც მგზავრთა მოსახმარად, მოწყალებად დატოვა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65821